ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2625342

ნომერი: AR1407256

თარიღი : 23.05.2016

გაცემის თარიღი : 31.05.2016

გაცნობის თარიღი : 31.05.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბუდაპეშტი , N 1ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ალექსიშვილი პ/ნ 01024016364
- თბილისი ბუდაპეშტის ქ. N 1ბ

ორგანიზაცია:

- შპს "ჰოლდინგი საქართველო" კოდი: 211752021

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 25 ნოემბრის #12-55 გადაწყვეტილების თანახმად "აკრძალულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიწის ნაკვეთის საზღვრებზე ღობის (მესერის, ლითონის ბადე და სხვა) მოწყობა, თუ ეს განსაზღვრული არ არის თავდაპირველი საპროექტო დოკუმენტაციით". ასევე გაცნობებთ, რომ ღობისა და კარის ღიობების მოწყობა ხორციელდება სერვიტუტით დატვირთულ ტერიტორიაზე. "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილებით საზოგადოებრივი სივრცე განმარტებულია, როგორც განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მდებარე ქუჩა, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, წყლის ზედაპირი და მისი სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა ტიპის სივრცეები. სერვიტუტზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარება დაუშვებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.